პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 5 (9416)
8 იანვარი, ხუთშაბათი, 1987 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუ ჰაერში თოვლის ფანტელი გამოჩნდა, ბაკურიანი და გუდაური ხანატრელი აღარა აქვთ თბილისელებს. თვით თოვლნარევი წვიმის დროსაც კი, როდესაც ქალაქის ქუჩები რუხი გუბეებით იფარება, მთაწმინდასა და კუს ტბაზე, ლისის ტბასა და თბილისის ზღვაზე ქათქათა თოვლი თვალს მოგჭრით. მერე კი რაღა დარჩა, აიტანე ციგა, თხილამურები და... თუმცა მთაწმინდაზე, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, ციგის ატანაც არ დაგჭირდებათ. იქ მთელი დღის განმავლობაში მუშაობს გამქირავებელი პუნქტი, გამოიტან ციგას და ისრიალე, რამდენიც გინდა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები:



რეპლიკა

# რატომ გაჭიანურდა უნივერსიადა?

„ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ უთუოდ დიდი და კარგი საქმე გააკეთა, როცა რესპუბლიკურ უნივერსიადაზე სასპარეზოდ სხვა სპორტსაზოგადოებათა სტუდენტი სპორტსმენებიც დაუშვა. ამით შეჯიბრების მონაწილეთა რაოდენობაც გაზარდა და უნივერსიადის პრესტიჟიც. აქვე უნდა ითქვას: ძალიან მაღალ დონეზე და სანიმუშოდ ჩატარდა შეჯიბრებები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, წყალბურთში, ფარიკაობაში და კროსში.

შეიძლება ითქვას, ასეთი უნივერსიადა, თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბებით, მხოლოდ რესპუბლიკურ სპარტაკიადას თუ ჩამორჩება. მართალია, იმთავითვე ყველაფრის წინასწარ განჭვრეტა და განსაზღვრა იოლი არ იყო (ამგვარი „ხალხმრავალი" უნივერსიადა პირველად შარშანწინ ჩატარდა), მაგრამ ორგანიზატორებს მაშინდელი გამოცდილება უნდა გაეთვალისწინებინათ. უნივერსიადის ფინალური პაექრობები, რომლებიც შარშან 15 ოქტომბერს დაიწყო, ისე გაჭიანურდა, რომ წლის მიწურულს ძლივს დამთავრდა. თბილისში ნოემბერში ჩასატარებელი ფრენბურთელთა შეჯიბრება... დეკემბრისთვის გადაიტანეს, თანაც ქუთაისში. ხელბურთელთა ასპარეზობა, რომელიც 15 ნოემბერს უნდა დამთავრებულიყო, 29 დეკემბერს დასრულდა (II ჯგუფი).

ასევე დაირღვა ძიუდოისტთა, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა და სხვათა ასპარეზობების გრაფიკები. თანაც ბევრ სახეობაში ასპარეზობა შეუფერებელ სარბიელზე ჩატარდა. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ თითქოს ყველაფერი იღონა, ყველაფერი გააკეთა, მაგრამ, როგორც ითქვა, გრაფიკი დაირღვა. ვიმეორებთ, კალენდრის მიხედვით ნოემბერში დასამთავრებელი ასპარეზობები, წლის მიწურულს ძლივს დასრულდა. სტუდენტებს კი იმ დროს უკვე სესიო ციებ-ცხელება ჰქონდათ და ნაცვლად იმისა, რომ ის დღეები ბიბლიოთეკებში გაეტარებინათ, ისინი სპორტულ სარბიელზე ღვრიდნენ ოფლს.

რატომ დაირღვა კალენდარი?

„ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოში თავს იმართლებენ: უნივერსიადის ფინალში, რომლის პროგრამაში ოცი სახეობა იყო, ძალზე ბევრმა მონაწილემ მოიყარა თავი და მათი დაბინავება გაგვიჭირდა, თანაც უნივერსიადას „ბურევესტნიკის" სხვა ღონისძიებებიც, კერძოდ, მოცურავეთა ცენტრალური საბჭოს პირველობაც დაემატაო.

დიახ, თბილისში 300-მდე სპორტსმენი ჩამოსულა, მაგრამ განა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოში წინასწარ არ იცოდნენ, რომ ასე იქნებოდა? მათ ხომ ხელთ ჰქონდათ მთელი წლის მანძილზე ჩასატარებელი ღონისძიებების კალენდარი. იქნებ, ჩამოსულ სპორტსმენებს რომ დაბინავება უნდა ის „დაავიწყდათ"? შარშანწინდელი გამოცდილება მაინც გაეხსენებოდათ.

ისე, „ბურევესტნიკს" სხვა სპორტული საზოგადოებები და უწყებებიც უნდა ამოუდგომოდნენ მხარში. სტუდენტთა სპორტი ხომ საერთო საზრუნავია.

# მეგობრობა ღრმავდება

## თბილისი — ლიუბლიანა

თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ლიუბლიანელ ახალგაზრდების დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო თბილისის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის კონფერენციის მუშაობაში. იუგოსლავიის ამ ქალაქთან თექვსმეტწლიანი მეგობრობის ისტორიაში კიდევ ერთი ფურცელი ჩაიწერა — სტუმრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტთან თანამშრომლობის შესახებ. მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის მრავალფეროვანი პროგრამა სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებსაც ითვალისწინებს.

## ახალი ამბები

საბჭოთა კავშირის რეგბის ფედერაციამ დაასახელა 1986 წლის სეზონის 10 საუკეთესო მსაჯი, მათ შორის ორი ქართველი არბიტრია — ზურაბ რეხვიაშვილი და გოჩა აბაშიძე.

* * *

როგორც რესპუბლიკის სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა რეგბიში დავით ქილასონიამ გვაცნობა, საბჭოთა კავშირის რეგბისტთა ნაკრები გუნდი ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის ორ მატჩს ჩვენს რესპუბლიკაში გამართავს.

25 აპრილს საბჭოთა რეგბისტები თბილისში უმასპინძლებენ რუმინეთის ნაკრებს, 29 აპრილს კი ქუთაისში ტუნისელთა გუნდს შეხვდებიან.

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ერთნაირი შედეგით

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი.

**რიგა.** კიევის „სტროიტელისა" და ვილნიუსის „სტატიბას" კალათბურთელთა შეხვედრის ბედი, ფაქტიურად, მეორე ტაიმში გადაწყდა. უკრაინელებმა გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით — 84:72.

„სტროიტელმა", ისევე როგორც „სტატიბამ" მეორე წრის შეხვედრები დაამთავრეს. ფინალისტთა ექვსეულში თამაშის უფლება ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა. „სტროიტელმა" 22 თამაშის შემდეგ 30 ქულა დააგროვა (8 მოგება და 14 დამარცხება). ორი წრის შემდეგ „სტატიბასაც" ასეთი შედეგები აქვს: 8 გამარჯვება, 14 დამარცხება და 30 ქულა.

# მეორე ტაიმში უკეთ ითამაშეს

**გუშინწინ** ორმა საბჭოთა გუნდმა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის საკლუბო ტურნირების კალენდარული შეხვედრები გამართა.

**მოსკოვი.** უნივერსალურ სპორტულ დარბაზში ადგილობრივმა ცსკა-მ ესპანეთის კლუბი „ხუვენტუდ ბადალონა" მიიღო. ეს იყო თასების მფლობელთა თასის ერთ-ერთი მეოთხედფინალური მატჩი, რომელმაც კალათბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

საბჭოთა და ესპანელი სპორტსმენების შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ორივე გუნდმა მანამდე თავის ქვეჯგუფში ვილერბანის „ასველი" (საფრანგეთი) და ჩეხოსლოვაკიის „ოსტრავა" დაამარცხა. ამ ბრძოლის შემდეგ გამოიკვეთა ჯგუფური ტურნირის ლიდერის ვინაობა. დაწინაურდა ცსკა, რომელმაც „ხუვენტუდთან" შეხვედრა მოიგო ანგარიშით 104:89 (49:58).

როგორც შედეგიდან ჩანს, ბრძოლა მძაფრიც იყო და დრამატულიც. პირველი ნახევარი ესპანელთა უპირატესობით აღინიშნა, რომლებმაც მოიგეს კიდეც ტაიმი 9 ქულით. მაგრამ შესვენების შემდეგ არმიელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, გარდატეხეს თამაში და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს.

მომდევნო მატჩს არმიელი კალათბურთელები 13 იანვარს მოსკოვში ჩაატარებენ. მათი მეტოქე ამჯერად ჩეხოსლოვაკიის „ოსტრავა" იქნება.

მეორე ჯგუფში ლიდერობს იუგოსლავიის „ციბონა" (ზაგრები).

**ლენინგრადი.** ადგილობრივი „სპარტაკი" წარუმატებლად გამოდის კორაჩის თასის გათამაშებაში. მას უკვე ორი დამარცხება აქვს. სწორედ ამიტომ შეხვედრას იუგოსლავიის „შიბენკასთან" ორივე გუნდისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ლენინგრადელებმა პირველი ტაიმი შედარებით სუსტად ჩაატარეს და ერთი ქულით მოიგეს — 39:38. მატჩის ბედი შესვენების შემდეგ გადაწყდა. „სპარტაკმა" შესძლო გარდატეხა შეეტანა თამაშში და გაიმარჯვა — 79:69.

# სეზონი მხტომელებმა გახსნეს



გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზზე

**ბაკურიანში** მფრინავ მოთხილამურეთა ასპარეზობით გაიხსნა ზამთრის ახალი სპორტული სეზონი. გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზის ტრადიციულ გათამაშებაში 30 უძლიერესი მხტომელი ჩაება.

მცირე ტრამპლინიდან ხტომაში ყველაზე მაღალი შედეგი ბაკურიანელმა კახა წაქაძემ აჩვენა — 49 და 51,5 მეტრი. 17 წლის სპორტსმენმა, რომელიც ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატია, 256,2 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე და მესამე ადგილებიც ბაკურიანელებმა დაისაკუთრეს. დ. ჯანგობეკოვის შედეგია — 219 ქულა (46 და 46,5 მ), ე. უნანოვისა — 207,2 ქულა (44,5 და 46, 5 მ.).

კახა წაქაძე 70-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაშიც უძლიერესი იყო. მისი შედეგია 73 და 74 მეტრი (203,1). მართალია, ყველაზე შორს წალვერელი ე. ორჯონიკიძე გადახტა — 77,5 მეტრი, მაგრამ მეორე ნახტომი გაუცუდდა და 200,2 ქულით მეორე ადგილს დასჯერდა. მესამე იყო გ. დიაკონაშვილი (ბაკურიანი) — 197,0.

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# ირიბი პასუხისმგებლობა

„ლელოს" 18 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში („ირიბი პასუხისმგებლობა") ვწერდით, რომ გუდაურის წყალსადენის სატუმბო სადგურში არ იდგა სარეზერვო წყალსაქაჩი ტუმბოები.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროდან გვაცნობეს: „სამინისტროს ტრესტ „საქკომუნსპეცმშენის" მიერ 1984 წელს აშენებული გუდაურის წყალსადენის ნაგებობათა კომპლექსის პირველი რიგი, რომლის საპროექტო სიმძლავრე წამში 4,0 ლიტრი იყო, 1985 წელს ამოქმედდა. რადგან იმ პერიოდში გუდაურის დირექცია არ იყო შექმნილი, წყალსადენის ექსპლუატაციის ხელმძღვანელობა დაევალა ყაზბეგის კომუნალურ საწარმოთა კომბინატს, რომელსაც სამინისტროს მიერ სათანადო საშტატო ერთეულებიც გამოეყო. წყალსადენის სატუმბო სადგურის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად პროექტით გათვალისწინებული ორი სატუმბო აგრეგატის (აქედან ერთი სათადარიგო) ნაცვლად დამონტაჟდა სამი.

ამჟამად წყალსადენის კომპლექსი ნორმალურად მუშაობს და სამინისტრო ყველა ზომას ხმარობს იმისათვის, რომ დანადგარმა მომავალშიც შეუფერხებლად იმუშაოს.

გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ ვინაიდან გუდაურში კომუნალური საწარმოები არ არის და წყალსადენი მხოლოდ გუდაურის კომპლექსს ემსახურება, მისი ექსპლოატაციის შემდგომი ხელმძღვანელობა უნდა განახორციელოს გუდაურის კომპლექსის დირექციამ.

ა. ყურაშვილი,
საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის



# ეროვნული სპორტის ქომაგი

ილია ჭავჭავაძე ქართული ჭიდაობის დიდი ტრფიალი ყოფილა, ხერხებსაც კარგად იცნობდა თურმე და ჭიდაობის წესებშიც შეუცდომლად ერკვეოდა.

თანამედროვენი იგონებენ, რომ ილია ყვარელში თუ საგურამოში, სადაც კი ამის საშუალება მიეცემოდა, მოჭიდავეებს აქეზებდა, ერთმანეთს გააჯიბრებდა და გამარჯვებულს გულუხვად დააჯილდოვებდა, ე. წ. „თავისი ფალავნებიც" ჰყავდა, რომლებიც ილიას დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ და ცდილობდნენ მისი გული მოეგოთ. ერთ-ერთი ასეთი ფალავანი იყო გლახო ფეიქრიშვილი, რომელიც ილიას ბევრჯერ ყვარლიდან საგურამოში წაუყვანია საჭიდაოდ.

როგორც ილიას გულითადი მეგობარი და გაზეთ „ივერიის" თანამშრომელი, მწერალი და პუბლიცისტი იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს, ჭიდაობა საქართველოს ეროვნული ზეიმის „ილიაობის" გვირგვინი იყო. „ილიაობის" ერთ-ერთ დღესასწაულზე, როცა საგურამოში საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები ერთმანეთს ეცილებოდნენ ილიასადმი თაყვანისცემის გამოხატვაში, დიდმა მასპინძელმა თურმე თავის საყვარელ მოჭიდავეს იაგორა შამხოლაშვილს მიმართა: თუ მეეტლე როსტიაშვილს წააქცევ, ერთი საჟენი შეშა ჩემზე იყოსო. გახურდა ზურნა და შამხოლაშვილმა გაიმარჯვა. „რამდენიმე დღის შემდეგ მივედი, — იგონებს შამხოლაშვილი, — ილიამ დანაპირები შემისრულა, ბრძანა ჩემთვის ერთი საჟენი შეშა გამოეწერათ". ერთხელაც ილიას შამხოლაშვილისა და პავლე ბიძინაშვილის შეხვედრა მოუწყვია. ამჯერად ბიძინაშვილს უმარჯვნია, ილიას შეუქია გამარჯვებული და ერთი თუმნით დაუჯილდოვებია.

როგორც ირკვევა, საგურამო იმ დროს ძლიერი მოჭიდავეებით იყო ცნობილი. ერთხელ ილიამ საგურამოში განთქმული მოჭიდავე სოლკა ჯავახიშვილი (მეტსახელი „ქორია") შეახვედრა არაჩვეულებრივი ჯან-ღონის პატრონს, ორმეტრიან გიგანტს იაგორა მეზვრიშვილს. როცა ამ უკანასკნელმა ბეჭებზე დასცა „ქორია", დამარცხებულს ძმები წამოეშველნენ და მეზვრიშვილისაკენ გაიწიეს. მათ ილია გადაუდგა წინ და დინჯად უთხრა: ვინც მეზვრიშვილს ურიგოდ ხმას გასცემს, ჩემს მიდამოს არ გაეკაროსო. ორივე მოჭიდავე შეარიგა და მათაც ერთმანეთი გადაკოცნეს.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტები, რომლებიც მემუარული ლიტერატურიდანაა ამოკრეფილი, გვარწმუნებს, რომ ერის დიდი მოჭირნახულე მწერალი პატივს სცემდა უძველეს ეროვნულ სპორტულ სანახაობებს, მათ შორის ქართულ ჭიდაობას, როგორც ვაჟკაცობის, გამბედაობის, შეუპოვრობის სიმბოლოს.

**კოკი ფიფია.**

# ხიბლი ჩვენი ჭიდაობისა

— **მიდი,** კაცო, მიდი, ხო ხედამ რა სამოგვერდოდ გიდგას, — ვერ ისვენებდა ჩემს გვერდით მჯდომარე ჭაღარა კაცი. ლაპარაკზე შევატყვე, კახელი იყო. გიორგიწმინდელებს ქომაგობდა.

— ჰა, კისრული!.. რას ჩადი, ბიჭო...

გამომელაპარაკა, მეც აღარ ვუგანე.

ნელ-ნელა შევყევით, ვარჩევდით შეხვედრებს და საქებარ ბიჭებს ქებას არ ვაკლებდით.

სადაურობა მკითხა. რომ გაიგო, თბილისელი ვიყავი, თქვა:

— ჰაი, დედასა, ომი ოთხიოდე წლის დამთავრებული იყო, სადა გვქონდა მაშინ ეგეთი ზიზილ-პიპილო ჩასაცმელები, ანდა ვარჯიშის დრო ვის ჰქონდა, წინა დღეს შეგვკრიბამდნენ და ჩამოგვლალამდენ ხოლმე შეჯიბრებაზე. ხან კიდევა დედაჩემი არ მიშვებდა. ემანდ ბიჭმა, არა იტკინოს რაო.

— რა უნდა იტკინოს, რა! — შეუტევდა მამაჩემი,—მა რად მინდა დონდლო შვილი, კაცსა ვაჟკაცობა უნდა ეტყობოდეს და მხნედ იაროს ქვეყანაზედა. წადი შვილო, არავის გაელახვინო, — მეტყოდა და ხელს მხარზე დამკრავდა. დედა კი ვიშვიშით უკან მომდევდა.

— ეგება დროით ამობრუნდე შვილო, დარდი მექნება და ვენახსაც მიხედვა უნდა...

მივდიოდით და ვჭიდაობდით.

აი, აქა, ცირკშიც ბევრჯერ მიჭიდავნია. მახსოვს, ერთ აქაურ ბიჭს ბეჭი მოვტეხე. ექიმებმა გაიყვანეს და გამარჯვება მე მომაკუთვნეს.

— იგრეთი გამარჯვება რად მინდა-მეთქი, ვუთხარ მსაჯსა...

წრეში ახალ წყვილს უხმეს, ჩემი მეზობელი კი თავისას განაგრძობდა. აბა, იმან რა იცოდა, რომ მეც ქართული ჭიდაობის ტრფიალი ვარ და რომ ახალგაზრდობაში მეც მხვდა ბედნიერება ცირკის არენაზე საჭიდაო ჩოხით გამოვსულიყავი. ნაძალადევში, „ლოკომოტივის" სპორტულ დარბაზში ვვარჯიშობდით, ჯერ ატივცემულ გიორგი ბასიაშვილთან, შემდეგ კი ქარქუსაშვილთან. ერთი სული გვქონდა ბიჭებს, როდის მოვიდოდა სავარჯიშო დღე. იმ დარბაზში ხშირად ტარდებოდა სხვადასხვა რანგის შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ის შეჯიბრებები ნამდვილი დღესასწაული იყო ჩვენთვის. დარბაზი ყოველთვის სავსე იყო ხალხით...

ჩემი თანამოსაუბრის ნათქვამისთვის „აქაურ ბიჭს ბეჭი მოვტეხეო", მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ შემდეგ გამახსენდა, რომ სწორედ ცირკში, საქართველოს პირველობაზე ნახევარფინალში გამართული ბრძოლების დროს ლავიწი დავიზიანე და ჭიდაობას სამუდამოდ ჩამოვშორდი. იქნება სწორედ ჩემმა თანამოსაუბრემ „მომტეხა კისერი"? მახსოვრობაში თითქოს მისი ახალგაზრდული სახის ნაკვთები ამოტივტივდა, გვარად მგონი ქურხული იყო. მას მერე ვათვალიერებ და თვალი ველარ მოვკარი დარბაზში.

რატომ გავუკეთე სათქმელს მოზრდილი შესავალი! ქართული ჭიდაობა ჩვენში ყოველთვის პოპულარობით სარგებლობდა. იგი ყველას უყვარს, დიდსაც და პატარასაც. იმას, ვისაც ჩოხა მხოლოდ ერთხელ ჩაუცვამს და იმასაც, ვისაც გამარჯვების სიხარული არ განუცდია. დღეს მართლაც ბევრი რამ კეთდება სპორტის ამ ეროვნული სახეობის აღმავლობისათვის. დასტურად თუნდაც ის დიდი ზრუნვა გამოდგება, რასაც ახლა იჩენენ ქართული ჭიდაობისადმი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის სპორტსახკომი და „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭო.

ქართული ჭიდაობა ძალზე სპეციფიკურია. კარგად დამუშავებული ჩვენებური ილეთები წარმატებით გამოიყენება ჭიდაობის ყველა სახეობაში, ამიტომ არასწორად მიგვაჩნია ის, რომ სპორტის ამ სახეობაში ყველგან არ არის სექციები და მშობლებს ბავშვები პირდაპირ ჭიდაობის კლასიკურ სახეობებში მიჰყავთ სავარჯიშოდ. დღის წესრიგში დადგა მწვრთნელთა და მსაჯთა მომზადების საკითხიც: მსურველი ბევრია, მაგრამ როგორ, რა გზით უნდა მოხდეს მათი მომზადება? იქნებ ერთთვიანი კურსები მაინც მოეწყოს...

შეიძლება გვითხრან — მიდით, გააკეთეთ წრე, სოფლად იქნება თუ ქალაქების მასივებში, მოაყარეთ ნახერხი და ავარჯიშეთ და აჭიდავეთ ბავშვები, ვინ გიშლით, და თქვენვე იმსაჯეთო. მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. გვქონდა ასეთი შემთხვევა: ბავშვი ვარჯიშზე დაშავდა და საავადმყოფოში იურიდიული დოკუმენტი მოითხოვეს. ვერ წარვუდგინეთ, ვუთხარით, რომ ბავშვებთან საზოგადოებრივ საწყისებზე ვმუშაობდით, არაფერმა არ გვიშველა: მშობლებისგანაც საყვედური მივიღეთ და საქმე კინაღამ მართლმსაჯულების ორგანოებამდე მივიდა. ამიტომ ასეთი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა მოეწყოს ერთთვიანი კურსები და თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შემოწმების შემდეგ გაიცეს სათანადო მოწმობა.

**ლერი ზანგურაშვილი.**



„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

## ბათუმი

**ახლახან** დამთავრდა საქართველოს პირადგუნდური პირველობა ბადმინტონში. გუნდური პირველი ადგილი თბილისელებმა მოიპოვეს, მეორე ადგილზე ქუთაისელი სპორტსმენები გავიდნენ, მესამე ადგილი კი ბათუმელებმა დაისაკუთრეს.

პირად ჩათვლაში ერთეულთა თანრიგში გაიმარჯვეს თბილისელებმა ა. არშუკოვამ და დ. კავილაძემ. ვაჟთა წყვილებში რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ მ. მჟავია (ბათუმი) და გ. ჯანელიძე (ქუთაისი). ქალთა შორის უძლიერესი იყო თ. და ე. მარგველაშვილების დუეტი.

შერეულ წყვილთა ასპარეზობა ა. არშუკოვა—დ. კავილაძის გამარჯვებით დამთავრდა.

**ლევან ქავჟარაძე.**

## სამტრედია

**სოხუმის** სალოკომოტივო დეპოს გუნდმა ყველას აჯობა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" მრავალრიცხოვან კოლექტივებს შორის (ქუთაისი, სოხუმი, ოჩამჩირე, ბათუმი, ფოთი, ზესტაფონი) გამართულ შეჯიბრებებში მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. ასპარეზობა რაისაბჭოს სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდა. რკინიგზელებმა უშეღავათო ბრძოლები გამართეს 60 და 100 მეტრზე რბენაში, ღერძზე მიზიდვაში, ყუმბარის ტყორცნაში და მცირეკალიბრიანი შაშხანით ტყვიის სროლაში.

კომპლექსურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდნენ ბათუმის სავაგონო დეპოს წარმომადგენლები. მესამე იყო სამტრედიის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის გუნდი.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**

## ზუგდიდი



გასული წლის ბოლომდე გასტანა მძლეოსნობაში „ლელოს" რეგიონალურ-რესპუბლიკური დაუსწრებელი შეჯიბრების პირველმა ეტაპმა. ზუგდიდში, ისევე როგორც რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების ბევრ სკოლაში, შეჯიბრებები კარგად ჩაატარეს. ახლა ჯერი რჩეულთა შორის რჩეულებზე მიდგა. მათთვის დაიწყება ფინალური სტარტები. შეგახსენებთ, ასპარეზობის დევიზია: „ვეძებთ ტალანტებს!".

## ტყიბული

**დამთავრდა მეთერთმეტე საქალაქო სპარტაკიადა. ეს შეჯიბრება ამ ქალაქში ქვანახშირის მოპოვების 140 წლისთავს მიეძღვნა.**

სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა სპორტის 10 სახეობა: მძლეოსნობა, ქართული ჭიდაობა, კალათბურთი (ქალები და ვაჟები), თავისუფალი ჭიდაობა, ფრენბურთი (ქალები და ვაჟები), ტყვიის სროლა, მაგიდის ჩოგბურთი, სიმძიმეების აწევა, ცურვა და ჭადრაკი.

სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება ზედიზედ მეშვიდედ მოიპოვეს ინდუსტრიული ტექნიკუმის ფიზკულტურელებმა. მეორე ადგილი დაიკავეს 136-ე საშუალო პროფტექსასწავლებლის მოსწავლეებმა, მესამე — მე-19 პროფტექნიკური სასწავლებლის წარმომადგენლებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ლენინის სახელობის მაღაროს, ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის, სტალინის სახელობის მაღაროს, მაღარომშენის, მინდელის სახელობის მაღაროს, გელათის სამკერვალო ფაბრიკისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ფიზკულტურული კოლექტივები.

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრების მონაწილეებმა სპორტის ზოგიერთ სახეობაში მაღალი შედეგები აჩვენეს, ზოგიერთში კი, მაგალითად, მძლეოსნობაში, ცურვაში, ფრენბურთსა და კალათბურთში (ქალები) შედარებით სუსტად იასპარეზეს.

**ელბერდ ბაქრაძე.**

## თერჯოლა

**რაიონის** სახალხო განათლების მუშაკთა თაოსნობით გასული წლის ბოლოს მოეწყო ამხანაგური შეხვედრა თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონების მასწავლებელთა შორის. შეჯიბრების პროგრამაში იყო შეხვედრები ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთში და მინიფეხბურთში. კალათბურთში და ჭადრაკში თერჯოლის მასწავლებელთა ნაკრები გუნდი აღმოჩნდა უძლიერესი, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში და მინიფეხბურთში გამართული მატჩები კი ფრედ დამთავრდა.

წელს თერჯოლელი პედაგოგები, ზესტაფონელ და საჩხერელ კოლეგებს ეწვევიან.

**ვანო კუტალაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლო, შორეული წარსულისაგან

# თემურ ხუბულური

**ჩემპიონობა რჩეულთა ხვედრია, შრომითა და ბრძოლით მოპოვებული ხვედრი, მაგრამ გაცილებით მძიმეა და საპატიო პირველგამკვლევის ტვირთი. სპორტში ათასნაირი რეკორდი აღინუსხება. მე თუ მკითხავთ, რეკორდის „ქართული განზომილებაც" არსებობს, თანაც ამ რეკორდებს ერთი დიდი უპირატესობა აქვთ: მათ ვერასოდეს ვერავინ გაიმეორებს — პირველდამპყრობი პირველდამპყრობად რჩება. დავით ციმაკურიძე — პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი; ნონა გაფრინდაშვილი — პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში; ნინო დუმბაძე — პირველი ქართველი მსოფლიო რეკორდსმენი (რეკორდი რეკორდში!) და ა. შ. და ა. შ. ამ თვალსაზრისით თემურ ხუბულურის. მიღწევაც უნიკალურია. იგი პირველი — ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი მსოფლიო ჩემპიონია ძიუდოში. საბჭოთა ძიუდოისტთაგან ხუბულური პირველია, ვინც ორგზის იზეიმა მსოფლიო ჩემპიონობა.**



ახლა მეხუთე სექტორში ზის, პატარა თემურის გვერდით. აქედან ხელისგულივით ჩანს ტატამი. ორი წელია ამ ტატამზე არ გამოსულა. ეჰ, რა დრო იყო. სიზმარივით ჩაიარა ყველაფერმა. აღარ გაისმის ინფორმატორის ნაცნობი სიტყვები: „სარბიელზე ვუხმობთ თემურ ხუბულურს და..." მეხუთე სექტორსა და ტატამს შორის ყრუ კედელი აღმართულა. ნუგეშად ისღა გრჩება, რომ შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი; ასეთია სპორტსმენის ხვედრი, ერთ დღეს უნდა ადგე და წახვიდე.

თურმე ტრიბუნასაც მიჩვევა უნდა. ერთ ადგილზე ვერ ისვენებს. წამოდგება, გაივლ-გამოივლის, ხან ერთ ნაცნობს გამოელაპარაკება, ხან — მეორეს. ვიღაც ზემოდან ეძახის: „რას შვრები, თემურ, როგორა ხარ, რას აკეთებ!?.." ახლა, რა თქმა უნდა, არ ღირს მისვლა. შინ ვნახავ, ჩვენ მეზობლები ვართ.

უფრო სწორად, ჩვენ ვიყავით მეზობლები, როცა ნუცუბიძის პლატოზე ერთ კვარტალში ვცხოვრობდით. მერე თემურმა ბინა გამოიცვალა, „ბარში" გადასახლდა. სწორედ იმ დღეებში ვესტუმრე, ბევრი ვისაუბრეთ, მაგრამ ჩანაწერებით სავსე ბლოკნოტისთვის კარგა ხანს არ მიხლია ხელი. ერთი სატელევიზიო გადაცემა რომ არა, ჯერჯერობით არც ვაპირებდი ამ ჩანაწერების გამომზეურებას. იური ვლასოვის ტელესაღამოზე მოგახსენებთ. სახელგანთქმული სპორტსმენისა და არანაკლებ ცნობილი მწერლის გულწრფელ „აღსარებას", ალბათ, არავინ დაუტოვებია გულგრილი. ეს იყო დიალოგი-ფოიერვერკი. ერთი ფრაზა დამამახსოვრდა განსაკუთრებით: „დიდი სპორტიდან ახალწასული სპორტსმენი თოთო ბავშვსა ჰგავს. ამ დღიდან იწყება სრულიად ახალი ცხოვრება. ამისთვის ყველა როდია მზად. აი, აქ გვმართებს ადამიანური ყურადღებისა და ზრუნვის გამოჩენა, რათა სპორტსმენმა, თავის დროზე ტაშს რომ ვუკრავდით და ლამის ხელისგულზე ვატარებდით, ცხოვრებისგან გარიყულად არ იგრძნოს თავი".

გულში რატომღაც ეს სიტყვები მომხვდამეთქი. იმასაც ვფიქრობ, რომ თემურ ხუბულურსაც იგივე დაემართებოდა. რატომ? ორი წლის წინ მან მითხრა: „რაღაც საქმეზე სპორტის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან მივედი. ხეირიანად არც მომისმინა: ვერაფრით დაგეხმარები, რაც მე აქა ვარ, ისეთი არაფერი გაგიკეთებიაო... მტკივნეულია, როცა სპორტიდან მიდიხარ, მაგრამ ათჯერ, ასჯერ მტკივნეულია, როცა ასეთი პასუხით გისტუმრებენ" და იქვე მიაყოლა: თუ ძმა ხარ, ამას ნუ დაწერ, ჩვენს შორის დარჩესო.

მე კი მგონია, რომ ეს ამბავი „ჩვენს შორის" არ უნდა დარჩეს. ამიტომაც გავიხსენე წერილის დასაწყისში. ისე, იური ვლასოვის საღამო რომ არა, ალბათ, სხვაგვარად დავიწყებდი.

მაგალითად, ასე:

ერთხელ სოფლიდან ნაცნობი ჩამომივიდა და მთხოვა: თემურ ხუბულური გვინდა მივიწვიოთ, დაელაპარაკე, იქნებ დრო გამონახოსო. კვირის თავზე მოსკოვში შეკრებაზე მიდიოდა, იქიდან — ჰოლანდიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე. მაინც არ უთქვამს უარი. წავედით, გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს, გზაც დაულოცეს. აბა, შენ იცი, ჰოლანდიაშიც გვასახელეო. თბილისში რომ ჩამოვედით, მეუბნება: ახლა, ბიჭი ხარ და წაავე, მერე იმ ხალხს თვალებში როგორ შევხედოო... თემურ ხუბულურს არაფერი წაუგია, მიწვევაზე რომ დაგვთანხმდა. მას არც ჰოლანდიაში წაუგია არაფერი — ოქროს მედალი ჩამოიტანა. ასე იქცნენ ის ჩემი ნაცნობი და მისი თანასოფლელები ხუბულურის სპორტული გმირობის „თანაავტორებად".

...მაგიდაზე ჩანაწერებით სავსე ბლოკნოტი მიდევს. თემურის ბინაში გაკეთდა ეს ჩანაწერები. მაშინ ქალბატონმა თამილამ „სამუშაო კლიმატი" შეგვიქმნა, მაგრამ თავიდან საუბარი მაინც ვერ აეწყო. ჩემი მასპინძელი სიტყვაძუნწი კაცია, „ტაქტიკურად" თუ არ მიუდექი, ძალა თუ არ დაატანე, ვერაფერს დააცდენინებ, მით უმეტეს საკუთარ თავზე. მოდი, ძიუდოთი დავიწყოთ, მაინც ზოგადი თემაა.

„რა უნდა ვთქვა... იაპონიას ამომავალი მზის ქვეყანას ეძახიან, მე კი მგონია, რომ იაპონია ძიუდოს ქვეყანაა. ძიუდო იაპონიის ეროვნული სიამაყეა; იამასიტო კი — ეროვნული გმირი. დიდი ჩემპიონი ცოტა როდი ჰყავს იაპონიას, მაგრამ, იამასიტო მაინც გამორჩეულია. საქმე მარტო ტიტულები როდია. იამასიტო იმიტომ შერაცხეს კერპად, რომ ის დიდი სპორტსმენიც არის და დიდი პიროვნებაც. სხეულისა და სულის ჰარმონია — ამაში ხედავენ იაპონელები ძიუდოს დანიშნულებას, ძიუდოს ასეთი პოპულარობის საიდუმლოც ალბათ აქ იმალება. იაპონელები ძიუდოს დარბაზში ისე შედიან, როგორც წმიდათაწმიდა ტაძარში, ნაღდ ძიუდოისტებს ისე უკრავენ თავს, როგორც ღვთაებრივ არსებებს... ოთხჯერ ვიყავი იაპონიაში. ტოკიოს ქუჩებში იამასიტოსთან ერთად ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს პრეზიდენტს მივყვებოდი გვერდით. ტოკიოს უნივერსიტეტის ძიუდოს დარბაზში პირველად შესული კაცი უთუოდ დაიბნევა. არაჩვეულებრივი წესრიგი და სისუფთავე, უფროსისადმი ხაზგასმული მოკრძალება... რაღაცნაირად შებოჭილი ხარ. იაპონელები პედანტურად იცავენ ძიუდოს ყველა წესს და სხვებისგანაც ამას მოითხოვენ. მათ იოლად იცნობთ შეჯიბრების დროსაც — გამოზომილი მოძრაობა, დახვეწილი ილეთი, უნაკლო დაცვა. მე არ მინახავს უკან დახეული, ტატამიდან გაქცეული იაპონელი. იგებს თუ აგებს, ბოლო წამამდე იბრძვის და ამით პატივს სცემს ძიუდოს, მაყურებელს, საკუთარ თავს".

**თემურ** ხუბულური თითქმის ათ წელიწადს გამოდიოდა საერთაშორისო სარბიელზე, მაგრამ ტატამზე სულ ორჯერ შეხვედრია იაპონელს. ერთხელ — თბილისის ტრადიციულ ტურნირზე, მეორედ — ტოკიოში, ანზორ კიკნაძის პრიზის გათამაშებაში. ათი წელი და ორად ორი შეხვედრა. იაპონელები თითქოს ერიდებოდნენ ჩვენს ფალავანთა შერკინებას, მაგრამ ამას არ „გაურბოდა" რობერ ვან დე ვალე — ქედმოუხრელი და უშიშარი ბელგიელი ათლეტი. ჭიდაობის ისტორიას სახელოვანი გოლიათების არაერთი მრავალწლიანი „დუელი" ახსოვს, მაგრამ ხუბულურ — ვან დე ვალეს მეტოქეობა მაინც საგანგებო ყურადღების ღირსია. ისინი ცხრაჯერ (!) დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. შეჯიბრებებს არ იკითხავთ? ორჯერ — მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, ერთხელ — ოლიმპიური თამაშების ფინალში, ორ-ორჯერ — ევროპის ჩემპიონატის ფინალში და ნახევარფინალში, ორჯერ — საერთაშორისო ტურნირების ფინალში. პრეცედენტს ტყუილად ნუ ეძებთ — ასეთი რამ მანამდე არ მომხდარა. რვა შეხვედრა ხუბულურმა მოიგო, ერთი — ვან დე ვალემ. რვა ოქროს მედალი საქართველოში „გამოემგზავრა", ერთი — ბელგიაში. მაგრამ ვან დე ვალემ ოლიმპიური მედალი წაიღო.

ეს იყო ყველაზე თავზარდამცემი მარცხი, მაგრამ ხუბულური თავჩაღუნული არ გასულა ტატამიდან. მეტოქეს პირველმა მიულოცა გამარჯვება. სხვა დროს ასევე იქცეოდა ვან დე ვალე. ძიუდოს წესებს პატივი უნდა სცე, ყველაზე მძიმე წუთებშიც კი. დიდ ჩემპიონებს ეს არ ეშლებათ.

„სხვასთან რომ წამეგო, ალბათ, იმ დღესვე თავს დავანებებდი ჭიდაობას. მე ვაფასებდი და ვაფასებ ვან დე ვალეს ოსტატობას, გაუტეხელ ხასიათს. ტატამზე, ცხადია, ერთმანეთს არ ვინდობდით, ტატამს მიღმა კი მეგობრებად ვრჩებოდით. ევროპას ბევრი არ ჰყოლია ასეთი ძიუდოისტი. გეეზნიკი, რიუსკა, პარიზი, ლორენცი... კიდევ ვისი დასახელება შეიძლება? ზუსტად არ მახსოვს, ექვსჯერ თუ შვიდჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი, ევროპის პირველობებში ათზე მეტი მედალი აქვს მოგებული. საოცარი ჟინით, აზარტით ჭიდაობდა, ერთ შეჯიბრებაზე ორი მედალიც აულია — ქვემძიმეში და აბსოლუტურში. ეს ერთეულების ხვედრია".

ახლა ვან დე ვალეს მოვუსმინოთ: „ოო, ხუბულური... ხუბულური... პატიოსანი კაცი მეგონა. რამდენი ოქროს მედალი „ჩავასესხე", მან კი მხოლოდ ერთი დამიბრუნა. ვხუმრობ, ცხადია, თორემ ამისთვისაც მადლობელი უნდა ვიყო. ხუბულური უძლეველ ათლეტად დარჩება ჩემს წარმოდგენაში. ჩვენმა მეტოქეობამ ისეთი „ტრადიციული" ხასიათი მიიღო, რომ მე ჩემპიონატისთვის კი არა, „ხუბულურისთვის" ვემზადებოდი. ბელგიაში ერთმა გულშემატკივარმა მითხრა: ხუბულური რომ არა, სულ ცოტა, მსოფლიოს ორგზის და ევროპის შვიდგზის ჩემპიონი მაინც იქნებოდიო. მერკანტილური მსჯელობაა. ჩვენ ის უნდა ვიკითხოთ, რა იქნებოდა ძიუდო, ხუბულურისნაირი ვარსკვლავები რომ არ ყოფილიყვნენ. მე კი ძიუდო ისე მიყვარს, სულ არ მენანება ის მედლები. კარგად მახსოვს ხუბულურთან შეხვედრები, უმნიშვნელო წვრილმანებიც. კი. ხელს ჩაგავლებდა თუ არა, უზომო ძალას იგრძნობდი, დგომში ძალზე საშიში იყო, მუდამ წელში გამართული მოდიოდა. ასე უმეტესად ქართველები ჭიდაობენ. რა თქმა უნდა, „ტატამსგარეთა" შეხვედრებიც მახსოვს. ასეთი შეხვედრა საქართველოშიც ბევრი იყო და ჩვენშიც — ბელგიაში".

1981 წელს ვან დე ვალემ საჯაროდ გამოაცხადა, ჭიდაობას თავს ვანებებო. ბელგიის ძიუდოს ფედერაციამ გამოსათხოვარ ტურნირზე რობერის ძირითადი მეტოქეები მიიწვია — ხუბულური, ვაშონი, კოსტენბერგერი, აგრეთვე ერთი იაპონელი მოჭიდავე. ხუბულური თავის მწვრთნელ გურამ პაპიტაშვილთან ერთად ჩავიდა ბელგიაში, მაგრამ ტრავმის გამო სარბიელზე არ გამოსულა. იმ დღეს არც ვან დე ვალეს უჭიდავია...

**გურამ** პაპიტაშვილი ვახსენე. მის სახელთან არის დაკავშირებული გორის ძიუდოს სკოლის წარმატებები. პაპიტაშვილი თემურის ერთ-ერთი პირველი მწვრთნელი იყო, სულ პირველად კი გივი ზაუტაშვილმა დაადგა თვალი. იმ წლებში გორელ ძიუდოისტებს დიდი სახელი ჰქონდათ — ქიბროწაშვილი, ჩოჩიშვილი, მაღალთაძე, ხორბალაძე, თანდაშვილი... ყველანი გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ძიუდოს სექციაში ვარჯიშობდნენ. ხუბულურს ძიუდოთი არ დაუწყია.

სკრაში ფეხბურთის მოედანთან საჭიდაო წრე გვქონდა. პირველად იქ ვნახე ქართული ჭიდაობა. მეზობელი სოფლებიდანაც ჩამოდიოდნენ ფალავნები... ახლა ის საჭიდაო აღარ არის, საშუალო სკოლა ააშენეს. მერე სხვაგან იმართებოდა ჭიდაობა. მაშინ ჩვენს სოფელში ყველაზე ძლიერი მოჭიდავე გოგი მამულაშვილი იყო. გვეგონა, რომ ვერავინ მოერეოდა. ერთხელ შოთა ჩოჩიშვილმა წააქცია და ყველას გაუკვირდა ეს ამბავი. იმ პერიოდში მეც დავიწყე ჭიდაობა, რაიონულ შეჯიბრებებშიც გამოვდიოდი. მერე გორში მოვუხშირე სიარულს, ჩემს მეზობელს გივი იმერლიშვილს დავყვებოდი. გივი გორის ბამბეულის კომბინატის სპორტკლუბში ვარჯიშობდა, იქ იყო გივი კურტანიძეც. სწორედ მათ მიმიყვანეს ზაუტაშვილთან და სთხოვეს, ეს ბიჭიც ავარჯიშეო. ასე მოვხვდი ზაუტაშვილთან, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა, საკუთარი ძალის რწმენა ჩამინერგა".

ზაუტაშვილთან სამბოში ვარჯიშობდა. 1972 წელს, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი რომ გახდა, კიმონოც მოიზომა. გავიდა კიდევ ორი წელიწადი და თემურ ხუბულური საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრებში მიიწვიეს. ამ პერიოდისთვის უკვე რამდენიმე საკავშირო და საერთაშორისო ტურნირი ჰქონდა მოგებული, მაგრამ ეს მაინც „ავანსად გაცემული" ნდობა იყო. ნაკრებში მიწვევა ერთია, ადგილის დამკვიდრება — სხვა. ნაკრების მაშინდელ უფროს მწვრთნელს ვლადიმერ ანდრეევს დიდი არჩევანი ჰქონდა ქვემძიმე წონაში: რამაზ ხარშილაძე, ამირან მუზაევი, ვიქტორ ბეთანოვი... საერთაშორისო შეჯიბრებებზე ხშირად ... უკანასკნელი დადიოდა. ხუბულურმა 1975 წელს თბილისის ტურნირზე პირველად მოუგო ბეთანოვს, იმავე წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზეც დაამარცხა. არადა, ახლოვდებოდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები. ხუბულური ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა. ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო და ჩემპიონი გახდა. შემდეგ წელიწადს კვლავ მოიგო ევროპის ჩემპიონატი. ვან დე ვალეს პირველად სწორედ მაშინ შეხვდა.

ვლადიმერ ანდრეევი: „არ მახსოვს, პირველად სად ვნახე ხუბულურის ჭიდაობა, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ მომეწონა, ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო, ორი-სამი ისეთი ფანდი იცოდა, ვერავინ უმკლავდებოდა. საერთოდ, ქართველებს სიამოვნებით ვიწვევდი გუნდში, მაგრამ მათთან მუშაობა ადვილი როდი იყო. ქართველებს ჭიდაობა უყვართ, მაგრამ ილეთის სწავლა — არა, განსაკუთრებით პარტერში ჭიდაობას გაურბიან. იმას აკეთებენ, რაც იოლად და უკეთესად გამოსდით".

თემურ ხუბულურს სულ ათი-თორმეტი შეხვედრა თუ მოუგია პარტერში, ისიც შებოჭვით. არასოდეს უცდია მახრჩობელა და მტკივნეული ილეთი. მაგრამ „მეორე სართულზე" მას ბადალი არ ჰყავდა, მისი სტიქია დგომში ჭიდაობა იყო.

„მე ხშირად მსაყვედურობდნენ, პარტერში რატომ არ ჭიდაობო, მაგრამ რატომღაც ყველასავიწყდება, რომ პარტერში არც ერთი ბრძოლა არ წამიგია. დასისხლიანებულიც გამოვსულვარ ტატამიდან, მაგრამ შეხვედრა არ დამითმია.. ჩოქბჯენში თავდაცვა ვისწავლე, თავდასხმა — ვერა. ერთხელ ლორენცს ვეჭიდავებოდი, მოგვერდით გადავაგდე და იქვე „დავიჭირე". მწვრთნელები მეძახიან: „იმუშავე, იმუშავე, მტკივნეულზე გადადი". ხელი არ გამინძრევია, მსაჯის ნიშანს არ დავლოდებივარ, ისე წამოვდექი. ლორენცს უფლება ჰქონდა კონტრილეთი წამოეწყო, მაგრამ ისიც ჯენტლმენურად მოიქცა — მხარზე ხელი დამკრა, ჩემი შეცდომა არ გამოიყენა. სხვათა შორის, ლორენცი პარტერის დიდოსტატი იყო, ისევე როგორც ინგლისელი ადამსი. ჩვენებიდან შემიძლია დავასახელო იაცკევიჩი, ნევზოროვი, შუროვი. ქართველები ამ საქმეში თავს ვერ მოვიწონებთ, თუმცა გამონაკლისები, ცხადია, არიან. მაგალითად, პარტერში ბრწყინვალედ ჭიდაობდა ფიცხელაური. ეტყობა, ეს მაინც არ არის მთავარი. 1977 წელს ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების თოთხმეტი წევრიდან შვიდი ქართველი იყო. ნახევარი გუნდი! ზოგი პირად ტურნირში გამოდიოდა, ზოგი — გუნდურ პირველობაში. მახსოვს, მაშინ პარიზის შევხვდი, საფრანგეთის გუნდის ლიდერს. მასზე ფიზიკურად ძლიერ სპორტსმენთან არასოდეს მიჭიდავია. ეს იყო ჩვენი მეორე ბრძოლა, ორივეჯერ მოვუგე. მას შემდეგ პარიზის არ შევხვედრივარ, მძიმე წონაში გადავიდა".

**თემურ** ხუბულურმა გრძელი, ურთულესი გზა გამოიარა სპორტში. ამ გზაზე სიხარულიც ბევრი შეხვედრია და წყენაც. ასეთია დიდი სპორტი — თავისი აღმართ-დაღმართებით. ხუბულურმა ყველაფერი უშურველად გაიღო და საზღაურად მიიღო ყველა ჯილდოზე დიდი ჯილდო — ხალხის სიყვარული. რაც შეეხება სპორტულ ტიტულებს, ძიუდოისტთა შორის იგი მედლების ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი „კოლექციის" მფლობელია: ევროპის ოთხგზის და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი, მრავალ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული. მაგრამ ჩვენ, გულშემატკივრებს, გვგონია, რომ მაინც ნაადრევად დატოვა სპორტული სარბიელი. თვითონაც ამბობს: მეტი მევალებოდა, მეტი უნდა გამეკეთებინაო. ალბათ ასეც იქნებოდა, გაუთავებელი ტრავმები რომ არა. საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა ხუბულურისთვის უკანასკნელი შეჯიბრება გამოდგა.

...თურმე ტრიბუნასაც მიჩვევა უნდა. ვერ ისვენებს, წამოდგება, გაივლ-გამოივლის, ხან ერთ ნაცნობს გამოელაპარაკება, ხან — მეორეს, მერე ისევ თავის ადგილს მიუბრუნდება, შვილისკენ ჩაიხრება და ვინ იცის, უკვე მერამდენედ ახსენდება დიდი სპორტიდან გაცილების დღეს ნათქვამი: „ჩემი ბიჭი, თემური, ახლა ხუთი წლისაა. ბედნიერი ვიქნები, თუ ისიც ჩემს გზას გაჰყვება".

ელგუჯა ბერიშვილი.

# კიევის „დინამო“ — პირველ ადგილზე

ქ. მიუნხენში (გფრ) მიმდინარე მინიფეხბურთის საერთაშორისო ტურნირის ბოლო მატჩში კიევის დინამოელები შეხვდნენ ადგილობრივ „ბაიერნს“. მატჩს ესწრებოდა 11 ათასი მაყურებელი.

კიეველებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:3 (1:1) და პირველი ადგილი დაიკავეს. ისინი ასეთივე ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც შვეიცარიაში გაიმართება.

საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის

# ჩემპიონის წოდება მოიპოვეს

**1985 წელს დაიწყო და 1986 წელს დამთავრდა საქართველოს პირველობა ფეხბურთში ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1969-70 წლებში დაბადებული მოზარდები.**

თავდაპირველად გათამაშება მიმდინარეობდა 3 ქვეჯგუფად, აქ I-II ადგილებზე გასულმა გუნდებმა შექმნეს ფინალური ექვსეული, სადაც ბრძოლა მიმდინარეობდა ჩემპიონის წოდებისთვის: თბილისის 35-ე სკოლა, თბილისის „დინამო“-I, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი), „დინამო“-II (თბილისი), აგრეთვე, 35-ე სკოლის გუნდები „სიხარული“ და „ივერია“.

საინტერესო ბრძოლების შემდეგ საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის „დინამოს“ პირველმა გუნდმა (მწვრთნელი ბ. სიჭინავა), მომდევნო ადგილებზე გავიდნენ თბილისის 35-ე სკოლის გუნდი (მწვრთნელი ზ. მაისურაძე) და თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (მწვრთნელი ჯ. თანაშვილი).

# ასი წლის შემდეგ

**წელს, 17 მაისიდან 20 ივნისამდე, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ქალაქებში ჩატარდება რეგბისტთა მსოფლიო თასის პირველი გათამაშება.**

შეჯიბრება, რომელშიც 16 ქვეყნის ეროვნული ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას, რეგბის საერთაშორისო საბჭოს ეგიდით ეწყობა. საერთაშორისო საბჭო („ინთერნეიშნლ რაგბი ბოად“, შემოკლებით ირბ) 1886 წელს შეიქმნა და დღესდღეობით მხოლოდ 8 სრულუფლებიან წევრს: ინგლისის, შოტლანდიის, უელსის, ირლანდიის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს აერთიანებს. მიუხედავად ამისა, ირბ-მა, რომელიც კარჩაკეტილობითაა ცნობილი და აქამდე მხოლოდ ტურნეებსა და „ხუთი ერის პირველობას“ აწყობდა, საჭიროდ ცნო მსოფლიო თასის გათამაშებაში სხვა, საბჭოს არაწევრი ქვეყნების გუნდებიც მოეწვია. 1985 წლის 21-23 მარტს პარიზში გამართულ ირბ-ის ხელმძღვანელთა შეკრებაზე საბოლოოდ გადაწყდა, პირველი გათამაშება 1987 წელს გამართულიყო, მაშინვე გამოქვეყნდა შეჯიბრების მონაწილეთა სია, რომელიც დაემთხვა ჯერ კიდევ 1976 წელს საფრანგეთის რეგბის ფედერაციის პრეზიდენტის ალბერ ფერასის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს, იმ განსხვავებით, რომ ირბ-მა ბრაზილიის ნაცვლად სიაში რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა შეიყვანა. ამას, ცხადია, საბჭოთა კავშირის, რუმინეთის, არგენტინის, ფიჯისა და თვით ავსტრალიის რეგბისტთა ორგანიზაციების პროტესტი მოჰყვა. პასუხად საერთაშორისო საბჭომ რასისტების ნაცვლად ზიმბაბვეს გუნდის მოწვევა გადაწყვიტა, საბჭოთა გუნდის ადგილი კი წყნარი ოკეანის აუზის ქვეყანას — ტონგას გადაულოცა. ასე დადგინდა მსოფლიო თასის პირველი გათამაშების 16 მონაწილე, რომელთაგან 7 ირბ-ის წევრია, 3 (საფრანგეთი, იტალია, რუმინეთი) — სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციისა (ფირა), თუმცა ფრანგები ირბ-ის წევრებიც არიან, დანარჩენები კი მხოლოდ რეგიონალური გაერთიანების წარმომადგენლები.

თასის გათამაშების რეგლამენტის თანახმად, მონაწილენი 4 ქვეჯგუფად უნდა დაყოფილიყვნენ. შეჯიბრების ფავორიტებად ორგანიზატორებმა ირბ-ის წევრები და არგენტინა მიიჩნიეს და ისინი წყვილწყვილად განთესეს ქვეჯგუფებში, დანარჩენები კი წილისყრით გაანაწილეს. ამ პროცედურის შემდეგ, რომელიც 1985 წლის 2 დეკემბერს ჰონკონგში ჩატარდა, ქვეჯგუფებმა ასეთი სახე მიიღო (პირველად დასახელებული არიან ფავორიტები).

„**ა“ ქვეჯგუფი:** ავსტრალია, ინგლისი, იაპონია, აშშ.

„**ბ“ ქვეჯგუფი:** ირლანდია, უელსი, ტონგა, კანადა.

„**გ“ ქვეჯგუფი:** ახალი ზელანდია, არგენტინა, ფიჯი, იტალია.

„**დ“ ქვეჯგუფი:** შოტლანდია, საფრანგეთი, ზიმბაბვე, რუმინეთი.

ქვეჯგუფებში შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდება; შემდეგ მეოთხედფინალში დაწინაურებული ორ-ორი გუნდი ოლიმპიური სისტემით გააგრძელებს ბრძოლას. მონაწილენი 17 მაისს ოკლენდში (ახალი ზელანდია) შეიკრიბებიან ჩემპიონატის საზეიმო გახსნაზე. იქვე, 22 მაისს, მოეწყობა პირველი მატჩი (ახალი ზელანდია — იტალია). კალენდარი ისეა შედგენილი, რომ გუნდებს თამაში 4-5 დღეში ერთხელ მოუწევთ.

ირბ-ი და შეჯიბრების სპონსორი „ვესთ ენდ ნოლიზ გრუფ“ საარაკო შემოსავალს მოელიან რეკლამისაგან, ბილეთებისა და ტელერეპორტაჟების უფლების გაყიდვისაგან. თამაშები ტელევიზიით მსოფლიოს ასამდე ქვეყანაში გადაიცემა. მთელს შემოსავალს ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების რეგბის კავშირები და ფედერაციები გაინაწილებენ. ირბ-ი განუხრელად დაიცავს „თხუთმეტკაციანი რეგბის“ სამოყვარულო პრინციპს. შეჯიბრების მსვლელობის პერიოდში მოთამაშეები საშემოსავლო ფონდიდან ყოველდღიურად მხოლოდ 15 გირვანქა სტერლინგს მიიღებენ სამუშაოს გაცდენის გამო დაკარგული შემოსავლის საზღაურად.

## ახალზელანდიელთა ახალი გუნდი

ახალი ზელანდიის რეგბისტთა ეროვნულმა ნაკრებმა „ოლ ბლექსმა“ რვამატჩიანი ტურნე გამართა საფრანგეთში. პირველი ხუთი მატჩი სტუმრებმა საფრანგეთის სხვადასხვა კუთხის ნაკრებთან გამართეს და ხუთჯერვე გამარჯვება იზეიმეს. შემდეგ მათ ჯერ ტულუზაში სძლიეს მასპინძელთა ეროვნულ გუნდს 19:7, შემდეგ ლაროშელში დაამარცხეს „ფრანგი ბარბაროსები“ (ეროვნული ნაკრების ყოფილ წევრთაგან შედგენილი გუნდი) 26:12, ტურნეს ბოლო შეხვედრა კი ნანტში 40 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ისევ საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებთან გამართეს. ამჯერად ფრანგებმა გაიმარჯვეს — 16:3. „ოლ ბლექსს“ ტურნეს მანძილზე ხელმძღვანელობდა ახალი მწვრთნელი ბრაიენ ლოქორი, გუნდის წევრთა საშუალო ასაკი 23 წელი იყო. სწორედ ამ გადახალისებული შემადგენლობით აპირებენ ახალზელანდიელები მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაში მონაწილეობის მიღებას.



უსიტყვოდ...

ლერი კუჭუხიძის ნახატი.

# ოლიმპიურ ჩემპიონებსაც აჯობეს

**პონტევედრა** (ესპანეთი). ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა დანიის ეროვნული გუნდი — 34:17 (15:9) და პირველი ადგილი დაიკავა. შეგახსენებთ, რომ მანამდე ჩვენმა ხელბურთელებმა აჯობეს ტურნირის მასპინძლებსა და 1984 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს — იუგოსლავიის გუნდს. ამ კოლექტივებმა პონტევედრას ტურნირში შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

კლარა იარუნკოვა (ჩეხოსლოვაკია)

# სტარტზე

მორბენლები სასტარტო ხაზზე გამწკრივდნენ. მსაჯმა განკარგულება გასცა:

— მოემზადეთ!

სპორტსმენები წამოიწივნენ, ზურგები ამოზნიქეს და ხელებით სარბენ ბილიკზე გავლებულ ხაზს დაეყრდნენ.

— ერთი წუთით, ბოდიშს ვიხდი, — მიმართა მსაჯს მორბენალმა, მაისურზე პირველი ნომერი რომ ეწერა და წამოიმართა. — თქვენ ყურადღება მიაქციეთ ხელებს?

— რომელ ხელებს? — უკმაყოფილოდ ჰკითხა მსაჯმა.

— აი, ხაზზე, — მიუთითა მორბენალმა. — ერთნი ყველა თითით ეყრდნობიან, მეორენი — ხელისგულებით, მესამენი კი ოდნავ ეხებიან მას. მსურს ვიცოდე, რომელია სწორი. მე მინდა სტარტზე ისე დავდგე, როგორც წესი და რიგია.

— ხელებს მნიშვნელობა არა აქვს, — მიუგო გაღიზიანებული ხმით პისტოლეტიანმა მამაკაცმა.— მთავარია ხაზს ფეხი არ გადააცილო.

— გმადლობთ, — მიუგო პირველნომრიანმა მორბენალმა და ისევ ჩაცუცქდა.

— მოემზადეთ! — კვლავ გამოაცხადა მსაჯმა და პისტოლეტი შემართა.

— მომიტევეთ, — ისევ წამოყო თავი პირველმა ნომერმა. — გაქცევის დროს ჯერ მარცხენა ფეხი უნდა გადავდგათ თუ მარჯვენა?

— რომელიც გნებავთ.

— დიდი მადლობა, მაგრამ მინდა ვიცოდე, წესით პირველად რომელი უნდა გადავდგა.

— რომელიც თქვენთვის უფრო მოსახერხებელია! — მსაჯს ხმა გაებზარა.

მორბენლები აბუზღუნდნენ.

— მეეჭვება, — შეეკამათა მსაჯს პირველი ნომერი. — წესები ყველასათვის თანაბარ შანსს ითვალისწინებს, ამიტომ არა მგონია სულ ერთი იყოს, ჯერ რომელ ფეხს გადადგამ. თუ თითოეული იმ ფეხით მოწყდება ადგილს, რომლითაც მას მოესურვება, მაშინ ასე, იცით... — მას სახეზე მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველება აღებეჭდა.

აქ მეოთხე ნომერმა ათლეტმა მოთმინება დაკარგა, წამოიმართა და დაჭყანულმა მოედანზე დააფურთხა. დანარჩენი მორბენლებიც წელში გასწორდნენ და აყვირდნენ:

— საერთოდ როდისმე გირბენია, შე ბენტერავ?!

— მაგ ერთის გულისათვის ვართ აქ ამდენ ხანს დაყუდებულები, მთელი კუნთები დაგვიბუჟდა!

— სად იპოვეთ ეგ ტიპი?!

— თქვენი გულისწყრომა ჩემთვის გასაგებია, — ჩაიღიმა აგდებულად პირველმა ნომერმა. — თქვენ კონკურენციისა გეშინიათ, მაგრამ წინასწარვე იცოდეთ, ვერაფერს გახდებით. ამ გარბენის მოგებას მე ვაპირებ. ამიტომაც ჩემთვის მნიშვნელოვანია ყველა წესის დაცვა, მერე შედეგი რომ არ გაასაჩივროთ.

და იგი კვლავ სტარტზე დადგა. მსაჯმა ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ძლივს მოახერხა დანარჩენი სპორტსმენების სარბენ ბილიკზე დაბრუნება.

— მოვემზადოთ! ყურადღება!

გაისმა გასროლის ხმა. ყველა მორბენალი სწრაფად მოსწყდა ადგილს, პირველი ნომრის გარდა. იგი უძრავად იწვა სარბენ ბილიკზე ყურებზე ხელისგულაფარებული. ბოლოს თავი წამოსწია, მსაჯს საყვედურით შეხედა და უკმაყოფილოდ წარმოთქვა:

— რატომ არ გამაფრთხილეთ, რომ უნდა გესროლათ? მინდოდა მეკითხა, რად გიკავიათ ეგ პისტოლეტი-მეთქი, მაგრამ ვერ მოვასწარი. ჩვენთან, ქურჩალოვკაში, მწვრთნელს ასეთი სათამაშო დამბაჩა არა აქვს. სტარტს მხოლოდ სასტვენით იძლევიან. მე ხომ ქურჩალოვკის ჩემპიონი ვარ, ამიტომაც მე გამომგზავნეს რაიონულ შეჯიბრებაზე. ახლა რა უნდა ვუთხრა ჩვენს ბიჭებს? ეს ყოველივე როგორ ავუხსნა?.. თუმცა, წელს რაღა ეშველება და გაისად ჩვენც პისტოლეტის გასროლით ავიღებთ სტარტს...

ერთი ამოისლოკინა, წამოდგა და ნაღვლიანად ჩამოიბერტყა ტრუსებიდან მტვერი.

თარგმნა
**შოთა ამირანაშვილმა.**

# ინფორმაცია

**სასკატუნი** (კანადა). მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება დახურულ დარბაზში გაიმართა. ვაჟთა სიმაღლეზე ხტომაში სამმა სპორტსმენმა ერთნაირი შედეგი (225 სმ) აჩვენა. ცდების ნაკლები რაოდენობით პირველი ადგილი კანადელ მილტ ოტის მიენიჭა. მომდევნო ადგილებზე ამერიკელი მძლეოსნები ბრაიენ სტენტონი და ტაიტი პიკოკი გავიდნენ.

**ბელფასტი.** ტრადიციულ მძლეოსნურ კროსში გამარჯვება ინგლისელმა სტაიერმა როჯერ ჰეკნიმ მოიპოვა: 8 კილომეტრიანი დისტანცია 24.23,0-ში გაირბინა. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისელი სტივ კრემი ამჯერად მხოლოდ მერვე იყო — 25.06,0.

პოლონური გაზეთის „პშეგლენდ სპორდოვის“ კლასიფიკაციით 1986 წლის მსოფლიოს საუკეთესო ხმლით მოფარიკავედ დასახელებულია საბჭოთა სპორტსმენი, შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული სერგეი მინდირგასოვი. ათ საუკეთესოს შორის პოლონელმა ჟურნალისტებმა დაასახელეს აგრეთვე ანდრეი ალშინი (III ადგილი), სერგეი კორიაჟკინი (VI) და გიორგი პოგოსოვი (X).

# მკითხველი — გაზეთი

**ძვირფასო რედაქცია!**

**ბევრგან წამიკითხავს, რომ საზღვარგარეთ დიდი პოპულარობით სარგებლობს ქალთა ფეხბურთი და ოფიციალური ტურნირებიც იმართება. ვიცი ისიც, რომ ჩვენთანაც ჩამოყალიბდა ქალთა ფეხბურთის სექციები, გვყავს გუნდები, მაშ რატომ არ ტარდება ოფიციალური შეჯიბრებები?**

**ნაირა ტარუაშვილი.**
რუსთავი.

**პასუხი:** ასეთი შეკითხვა ამას წინათ საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს ვ. კოლოსკოვსაც დაუსვეს. მაშინ კოლოსკოვმა თქვა:

„ქალთა ფეხბურთის პრინციპული წინააღმდეგი ჩვენ არა ვართ, მაგრამ ოფიციალურ შეჯიბრებათა ჩატარებას ჯერ არ ვაპირებთ. ქალთა ფეხბურთის თაობაზე ჩვენი აზრი ასეთია: მათ უნდა ითამაშონ ისე, როგორც ეს ქალთა ჯანმრთელობისთვისაა შესაფერისი, როგორც ეს ხდება ჩვენს საყოველთაოდ მიღებულ ჯანმრთელობის კლუბებში“.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

## ეკრანზე...

**ცენტრალური ტელევიზია. 8 იანვარი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.15 (2);** საჭადრაკო სკოლა — **20.30 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **21.15 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში — **23.50 (1).**

**9 იანვარი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.15 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში — **23.25 (1).**

გაზეთ „ლელოს“ მუშაკები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რედაქციის ძველი თანამშრომელი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, მხატვარი

**ვლადიმერ თევდორეს ძე რუხაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096.**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“;**

**რედაქციის ტელეფონები:**
**ხამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 07772